საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

15 ივნისი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №133/17

-- -- (მოპასუხის, -- -- წარმომადგენელი) 2017 წლის 27 ივლისის №-- -- საჩივრის საფუძველზე, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^5 - მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 30 აპრილის №133/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, 2017 წლის 24 მაისს, -- -- რაიონული სასამართლოს მოსამართლე -- --, -- -- საქმეზე გამოიტანა დაუსაბუთებელი, მიკერძოებული გადაწყვეტილება, რომლითაც სრულად დააკმაყოფილა -- -- სარჩელი და ყადაღა მოხსნა მათ ქონებას. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელეს ჩაბარდა მისი სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 50-ე დღეს. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლემ გამიზნულად გააჭიანურა მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარება, რადგან არ მომხდარიყო მისი სააპელაციო წესით გასაჩივრება, მოპასუხემ აღნიშნული გადაწყვეტილება მაინც გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

უფრო მეტიც, მისი მარწმუნებელი, -- --, არის სოციალურად დაუცველი. ამ ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი არის საქმეში. მოსამართლემ დაარღვია კანონი და სახელმწიფო ბაჟის გადახდა მხარეებს დააკისრა სოლიდარულად. საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით, სოციალურად დაუცველი პირები უნდა განთავისუფლდნენ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. შესაბამისად, მოსამართლემ ამ ნაწილშიც დაარღვია კანონი.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. -- --, -- -- და -- -- 2016 წლის 26 იანვარს მოპასუხე -- -- მიმართ სარჩელით მიმართეს -- -- რაიონულ სასამართლოს და მოითხოვეს, მათ საკუთრებაში არსებულ მოძრავ ნივთებზე დადებული ყადაღის მოხსნა და დავის დასრულებამდე, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნული ნივთების რეალიზაციის პროცესის შეჩერება. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- -- (საქმის №-- --).

2016 წლის 27 იანვრის განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელეების შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. სააღსრულებო ფურცელი ასევე გაცემულ იქნა 2016 წლის 27 იანვარს.

მოპასუხემ შესაგებელი წარმოადგინა 2016 წლის 21 მარტს, რომლითაც არ დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას და აღნიშნა, რომ სადავო ქონებაზე ყადაღა დადებული იყო სასამართლოს გადაწყვეტილების (-- -- რაიონული სასამართლოს 2014 წლის 10 ოქტომბრის და -- -- სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 06 აპრილის გადაწყვეტილებები) აღსრულების მიზნით და მოსარჩელის მოთხოვნა სრულიად უსაფუძვლო იყო.

სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მოპასუხისათვის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი მოსარჩელემ წარმოადგინა 2016 წლის 28 მარტს.

2016 წლის 28 მარტს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებით მიმართეს -- -- და -- -- და განმარტეს, რომ 2016 წლის 04 მარტს -- -- წარმომადგენელმა, მოპასუხე -- -- განცხადების საფუძველზე, 2016 წლის 04 მარტის აქტით დამატებით აღწერა და დააყადაღა მოსარჩელეების საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთები. შესაბამისად, განცხადების ავტორები ითხოვდნენ საქმის განხილვის დასრულებამდე, ამ სააღსრულებო აქტის მოქმედების შეჩერებას.

2016 წლის 29 მარტის განჩინებით, განცხადების ავტორებს უარი ეთქვათ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე.

2.2. 2016 წლის 30 მარტს -- -- და -- -- სარჩელით მიმართეს -- -- რაიონულ სასამართლოს და მოითხოვეს, -- -- 2016 წლის 04 მარტის აქტის საფუძველზე დაყადაღებული უძრავი ნივთების ყადაღისაგან განთავისუფლება და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე აღნიშნული აქტის მოქმედების შეჩერება (საქმის №-- --).

2016 წლის 31 მარტის განჩინებით მოსამართლე -- -- მიერ დაკმაყოფილდა მოსარჩელეების მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

2016 წლის 06 აპრილს მოპასუხის წარმომადგენელმა, -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს და საქმის განხილვის დაჩქარების მიზნით ითხოვა, №-- -- და №-- -- საქმეების ერთ წარმოებად გაერთიანება.

2016 წლის 20 აპრილს საჩივრის ავტორმა განცხადებით მიმართა -- -- რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე -- -- და აღნიშნა, რომ 2016 წლის 06 აპრილს №-- -- და №-- -- საქმეების ერთ წარმოებად გაერთიანების შესახებ განცხადებით მიმართა მოსამართლე -- --, თუმცა, ამ განცხადებას მოსამართლის მხრიდან არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.

2016 წლის 10 მაისს მოპასუხე -- -- წარმოადგინა შესაგებელი, რომლითაც არ დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას.

2016 წლის 06 ივნისის განჩინებით საქმეზე მოსამზადებელი სხდომა ჩაინიშნა 2016 წლის 21 ივნისს.

მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე 2016 წლის 21 ივნისის მოსამზადებელი სხდომა გადაიდო სხვა დროისთვის.

2016 წლის 07 სექტემბერს მოპასუხემ განცხადებით მიმართა მოსამართლე -- -- და აღნიშნა, რომ -- -- ამ საქმეზე სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტილების მიღების მიზნით, განცხადება ჰქონდა შეტანილი -- -- სახელზე. შესაბამისად, -- -- ითხოვდა საქმის განხილვის გადადებას ხსენებულ განცხადებაზე -- -- პასუხის მიღებამდე.

2016 წლის 15 ნოემბერს მოპასუხემ კიდევ ერთი განცხადებით მიმართა მოსამართლეს და მიუთითა, რომ იუსტიციის სამინისტროდან პასუხი ჯერ არ ჰქონდა მიღებული და პასუხის მიღებისთანავე წარუდგენდა მას სასამართლოს.

2017 წლის 31 იანვარს მოსამართლის თანაშემწე ტელეფონით დაუკავშირდა საჩივრის ავტორს და აუწყა, რომ საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დანიშნული იყო 2017 წლის 09 თებერვალს.

2017 წლის 03 თებერვალს მოპასუხემ განცხადებით მიმართა -- -- და კიდევ ერთხელ ითხოვა -- -- მის განცხადებაზე პასუხის მიღებამდე საქმის განხილვის გადადება. -- -- განმარტავდა, რომ -- -- პასუხის მიღებამდე საქმის განხილვა ხელს შეუწყობდა აღნიშნულ საქმეზე დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილების მიღებას. შესაბამისად, დადასტურდებოდა, რომ მოსამართლე იყო მიკერძოებული და ტენდენციური.

საქმეზე მოსამზადებელი სხდომა ჩატარდა 2017 წლის 09 თებერვალს. მოსამართლემ საოქმო განჩინებით არ დააკმაყოფილა მოპასუხის შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე, რადგან აღნიშნა, რომ სააღსრულებო ბიუროში მიმდინარე საქმისწარმოებას არანაირი გავლენა არ შეიძლებოდა მოეხდინა სადავო ნივთებზე საკუთრების უფლების დადგენის საკითხზე. იმავე, სხდომაზე მიღებულ იქნა განჩინება №-- -- და №-- -- საქმეების ერთ წარმოებად გაერთიანების და საქმისთვის ახალი ნომრის, №-- -- მინიჭების შესახებ. მოწმეების დაკითხვის და წარმოდგენილი სხვა შუამდგომლობების გაცნობის მიზნით, საქმის განხილვა გადაიდო 2017 წლის 09 მარტს.

2017 წლის 09 მარტის მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხემ დააყენა შუამდგომლობა მოსამართლის აცილების შესახებ. შუამდგომლობის ავტორი განმარტავდა, რომ მოსამართლე იყო აშკარად მიკერძოებული და ის ვერ განიხილავდა საქმეს ობიექტურად. აღნიშნული შუამდგომლობა არ

დაკმაყოფილდა ისევე, როგორც მოპასუხის შუამდგომლობა საქმის განუხილველად დატოვების თაობაზე. სხდომისათვის განკუთვნილი დროის ამოწურვის გამო საქმის განხილვა გადაიდო 2017 წლის 02 მაისს.

2017 წლის 02 მაისის სასამართლო სხდომაზე, საქმის ფაქტობრივი სირთულის გამო, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადაიდო 2017 წლის 24 მაისს.

2017 წლის 24 მაისს მოსამართლემ გამოაცხადა (ესწრებოდა მოპასუხის წარმომადგენელი -- --) გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოსარჩელეების მოთხოვნა სრულად იქნა დაკმაყოფილებული.

2017 წლის 24 მაისს სასამართლოს განცხადებით მიმართა -- -- და მოითხოვა, 2017 წლის 24 მაისის გადაწყვეტილების მისთვის ჩაბარება.

2017 წლის 30 ივნისს მოპასუხის წარმომადგენელმა ისევ მიმართა სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით. ის აღნიშნავდა, რომ მის 2017 წლის 24 მაისს განცხადებას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია და სააპელაციო წესით დასაბუთების კუთხით ექმნებოდა სირთულეები.

2017 წლის 30 ივნისს მოპასუხემ წარადგინა სააპელაციო საჩივარი 2017 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებაზე.

2017 წლის 24 მაისის დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეს ჩაბარდა 2017 წლის 13 ივლისს.

2.3. 2016 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოსამართლე -- -- განსახილველად გადაცემული ქონდა 67 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, რომელთაგანაც განიხილა 65 საქმე; ასევე, განსახილველად გადაცემული ქონდა 520 სამოქალაქო სამართლის საქმე (ამ რაოდენობაში არ არის გათვალისწინებული 2015 წლის საქმეთა ნაშთი), რომელთაგანაც განიხილა 253 საქმე. 2017 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოსამართლე -- -- განსახილველად გადაცემული ქონდა 57 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, რომელთაგანაც განიხილა 42 საქმე; ასევე, განსახილველად გადაცემული ქონდა 173 სამოქალაქო სამართლის საქმე (ამ რაოდენობაში არ არის გათვალისწინებული 2016 წლის საქმეთა ნაშთი), რომელთაგანაც განიხილა 194 საქმე.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მოცემულ შემთხვევაში, შესაძლოა სახეზე იყოს მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის - „მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება“ - ჩადენის ფაქტი.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება არის უკანონო და დაუსაბუთებელი. გარდა ამისა, მოსამართლემ არასწორად გადაწყვიტა სახელმწიფო ბაჟის მხარეებისათვის დაკისრების საკითხი და დაარღვია კანონმდებლობა. შესაბამისად, პირველ რიგში შეფასება უნდა მიეცეს საქმის იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეეხება უშუალოდ გადაწყვეტილების კანონიერების საკითხს.

ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ,,საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის თანახმად, „პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილების ფორმით.“

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.“

იმავე კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, „სასამართლოსთვის არანაირ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.“ მოსამართლე მხოლოდ „შინაგანი რწმენით“ აფასებს წარმოდგენილ მტკიცებულებებს და მოსაზრებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს მის „შინაგან რწმენას“, ასახავს გადაწყვეტილებაში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის თანახმად, მხარე სახელმწიფო ბაჟის გადახდა სავალდებულოა სარჩელის შეტანისას. მოსარჩელეს, სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში უფლება აქვს მოითხოვოს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის მოპასუხე მხარისათვის დაკისრება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მხარეები, რომლებიც დადგენილი წესით რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებენ საარსებო შემწეობას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით“, თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან.

იმავე კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.“

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2016 წლის 21 მარტის შესაგებელს დართული ჰქონდა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა, რომ მოპასუხე -- -- იყო სოციალურად დაუცველი. თუმცა, 2017 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად. მიუხედავად იმისა, რომ -- -- არის სოციალურად დაუცველი, სახელმწიფოსგან იღებს შემწეობას და განთავისუფლებულია სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი საგამონაკლისო წესის მიხედვით, მას როგორც მეორე მხარეს, რომლის სასარგებლოდაც არ არის გამოტანილი გადაწყვეტილება, მაინც ეკისრება სასამართლო ხარჯის - სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

შესაბამისად, მოსამართლე საქმეზე 2017 წლის 24 მაისის გადაწყვეტილების მიღებისას და სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულების მხარეებზე გადანაწილების საკითხის გადაწყვეტისას, მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში. ამდენად, საქართველოს იუსტიციის საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს, მოსამართლის მიერ თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეჯერების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე. გადაწყვეტილების ამ მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

ამდენად, საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მოსამართლე -- -- მოპასუხეს დასაბუთებული გადაწყვეტილება ჩააბარა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის დარღვევით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259[1]-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო

გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი, ხოლო 259-ე მუხლის თანახმად, მხარეებს, თავიანთი განცხადების საფუძველზე, გადაეცემათ სასამართლოს გადაწყვეტილების ასლები არა უგვიანეს 3 დღისა განცხადების შემოტანიდან.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2017 წლის 24 მაისის სხდომას, რომელზეც მოხდა საქმეზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება, ესწრებოდა საჩივრის ავტორი, -- --, რომელიც იყო მოპასუხის, -- -- წარმომადგენელი და რომელსაც ჰქონდა აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება. ასევე დადგენილია, რომ მოპასუხის წარმომადგენელმა დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით სასამართლოს მიმართა 2017 წლის 24 მაისს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259[1]-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გასაჩივრების უფლების მქონე მხარე უფლებამოსილია გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით სასამართლოს მიმართოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა. შესაბამისად, მოსამართლე -- -- არ იყო ვალდებული 2017 წლის 24 მაისის განცხადების საფუძველზე გადაეცა მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილება.

2017 წლის 30 ივნისს მოპასუხის წარმომადგენელმა ისევ მიმართა სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით. 2017 წლის 24 მაისის დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეს ჩაბარდა 2017 წლის 13 ივლისს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მიხედვით, „მხარეებს, თავიანთი განცხადების საფუძველზე, გადაეცემათ სასამართლოს გადაწყვეტილების ასლები არაუგვიანეს 3 დღისა განცხადების შემოტანიდან.“ მოცემულ შემთხვევაში, გადაწყვეტილება მოპასუხეს გადაეცა სასამართლოსათვის განცხადებით მიმართვიდან მე-13 დღეს, საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის 10 დღის დარღვევით. აღსანიშნავია, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის გადაცემას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ თვალსაზრისით, რომ მხარეს მიეცეს შესაძლებლობა გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციაში. 2017 წლის 30 ივნისს მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა 2017 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება. ამდენად, მოსამართლის ქმედებას არ მოყოლია მხარისათვის მისი საპროცესო უფლების წართმევა, მიემართა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოსათვის. ამასთან, მხარეს დასაბუთებული გადაწყვეტილება გადაეცა 10 დღის დაგვიანებით, რაც მოსამართლის წარმოებაში არსებულ განსახილველ საქმეთა რაოდენობიდან გამომდინარე, არ შეიცავს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (კენჭისყრაში მონაწილე 15 წევრიდან 15 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით) მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №133/17, მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი